თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 18**

„27“ თებერვალი 2015 წ.

## თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების და აპარატის საჯარო მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის დამტკიცების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის, ამავე კანონის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის და ,,ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოები დანართი №1-ის და დანართი №2-ის შესაბამისად.

2. ამ დადგენილების ძალაში შესვლის მომენტიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 აგვისტოს N15 დადგენილება „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების და აპარატის საჯარო მოსამსახურეების თანამდებობრივი

სარგოების ოდენობის დამტკიცების შესახებ“ (ვებ. www.matse.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი 20/08/2014, კოდი 270070000.35.163.016196).

3. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

*დანართი №1*

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოები

| № | საჯარო თანამდებობათა დასახელება | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|
| 1 | საკრებულოს თავმჯდომარე | 2650 ლარი |
| 2 | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე | 1700 ლარი |
| 3 | საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე | 1350 ლარი |
| 4 | საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე | 1350 ლარი |

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

*დანართი №2*

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები

| № | საჯარო თანამდებობათა დასახელება | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|
| 1 | საკრებულოს აპარატის უფროსი | 1000 ლარი |
| 2 | განყოფილების უფროსი | 810 ლარი |
| 3 | საკრებუოლოს თავმჯდომარის თანაშემწე | 700 ლარი |
| 4 | მთავარი სპეციალისტი | 560 ლარი |
| 5 | წამყვანი სპეციალისტი | 540 ლარი |
| 6 | სპეციალისტი | 520 ლარი |

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი